საიდ. №64924/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №155-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, ლ. ახობაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „აგროჯორჯია გ.”-ს სააპელაციო საჩივარი (საიდ. №155-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 13 სექტემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1150/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „Avanguard ავანგარდი Авангард” (საიდ. №64924/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 13 სექტემბრის №1150/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2010 წლის 17 მაისის №2-75 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის თანახმად, სასაქონლო ნიშნად განცხადებული დასახელება მოცემულ კატალოგში რეგისტრირებულია. სასაქონლო ნიშნის „Avanguard ავანგარდი Авангард" რეგისტრაცია მოთხოვნილია მე-5 კლასის იდენტური საქონლის ჩამონათვლისათვის - „პესტიციდი", რომლისთვისაც დასახელება „ავანგარდი" არაგანმსახვავბელუნარიანია. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო ნიშანი ლათინურ ანბანზე და კირილიცაზე შესრულებულ „Avanguard - Авангард" დასახელებას შეიცავს, ეს არ სძენს მას საქართველოში რეგისტრირებული პესტიციდის „ავანგარდი"-საგან განსხვავებას. რის გამოც განცხადებულ ნიშანს, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია შპს „აგროჯორჯია გ." წარმოდგენილი ნიკოლოზ გოგილიძის სახით, არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, საქპატენტის ექსპერტიზამ განცხადებული ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანად ჩათვალა მხოლოდ იმ მოტივით, რომ იგი შეტანილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დამტკიცებულ საქართველოში გამოსაყენებლად დაშვებული პესტიციდების კატალოგში. აპელანტის პოზიციით, „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ" ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი არ არის განმასხვავებელუნარიანი. კერძოდ, აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სასაქონლო ნიშანი არ არის განმასხავებელუნარიანი, თუ იგი შედგება საქონლის მხოლოდ

სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან შეიძლება მიჩნეული იქნეს ასეთად; ან საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარეობითი ცნება; ან წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიმბოლოს ან ტერმინს, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია. აპელანტის მითითებით, ნათელია, რომ განცხადებული ნიშანი „Avanguard ავანგარდი Авангард" (საიდ. №64924/03) განცხადებული საქონლის ჩამონათვალისათვის (პესტიციდები) არ წარმოადგენს არცერთ ზემოთ აღნიშნულ კატეგორიას. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ კატალოგს, აღნიშნულ გარემოებას არავითარი კავშირი არ აქვს სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობისათვის, ვინაიდან აღნიშნულ კატალოგში შესული დასახელებები, ხშირ შემთვევაში წარმოადგენენ ამა თუ იმ კომპანიის კუთვნილ სასაქონლო ნიშნებს და მათი კატალოგში მოხვედრა არ იწვევს სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის დაკარგვას. შესაბამისად, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 13 სექტემბრის №1150/03 ბრძანება უსაფუძვლოა და ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 13 სექტემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1150/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „Avanguard ავანგარდი Авангард" (საიდ. №64924/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კოლეგია იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოაღნიშნულ კატალოგში სასაქონლო ნიშნის იდენტური პესტიციდის

დასახელების არსებობა ავტომატურად არ წარმოადგენს სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. ამასთან, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასაქონლო ნიშანი „Avanguard ავანგარდი Авангард" (საიდ. №64924/03) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია იმ კომპანიის მიერ, რომელიც არ არის აღნიშნული პროდუქციის მწარმოებელი კომპანია, რასაც ადასტურებს „საქართველოში გამოსაყენებლად ნებარდართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 29 ოქტომბრის 2-235 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების ჩამონათვალში არსებული მონაცემები და სხვა წყაროები, როგორც სასაქონლო ნიშანზე, ასევე მის მწარმოებელზე. კოლეგია განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, მის მფლობელს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, რაც გულისხმობს განსაკუთრებული უფლების მქონე პირის შესაძლებლობას აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში ისეთი ნიშნის გამოყენება, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის: იდენტურია და საქონელიც იდენტური, იდენტურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; იდენტური ან მსგავსია და დაცულია სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას.

სასაქონლო ნიშნის „Avanguard ავანგარდი Авангард" (საიდ. №64924/03) რეგისტრაციის შემთხვევაში, მასზე განსაკუთრებულ უფლებამოსილებას შეიძენს კომპანია, რომელიც რეალურად არ არის დაკავშირებული ამ პესტიციდის წარმოებასთან და არც მის მწარმოებელ კომპანიასთან, რაც გაუმართლებელია ერთის მხრივ, პესტიციდის მწარმოებელი კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, (რომელსაც რეალუარდ შეექმნება პრობლემა აღნიშნული პესტიციდის

იმპორტირებისას, რასაც ადასტურებს შემოსავლების სამსახურის პრაქტიკა) და მეორეს მხრივ, შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის მწარმოებლის შესახებ. აღნიშნული „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს. კერძოდ, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ მისი რეგისტრაცია შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ; კოლეგია მიიჩნევს, რომ პროდუქციის მწარმოებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია (კრიტერიუმი) მომხმარებლისათვის. მთელი რიგი პროდუქტები სწორედ იმის გამო სარგებლობენ უდიდესი ნდობითა და პოპულარობით, რომ მათ სწორედ განსაზღვრული, მაღალი რეპუტაციის მქონე მწარმოებელი ჰყავთ. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პესტიციდებს ჰყავს სპეციფიური მომხმარებელი (ქართველი გლეხი, ან შემსყიდველი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო), რომელიც სეზონურად სარგებლობს ზემოაღნიშნული პროდუქციით და ამიტომ კარგად არის გათვიცნობიერებული, როგორც ამა თუ იმ პესტიციდის მწარმოებელში, ასევე წარმოებული პესტიციდების ხარისხში, შესაბამისად, გამოსაყენებული საქონლის იმპორტის უფლების მხოლოდ ერთი კონკრეტული, არამწარმოებელი კომპანიისათვის მინიჭება, გამოიწვევს ბაზარზე ერთი კომპანიის მონოპოლიის დამკვიდრებას, რაც თავის მხრივ გააუარესებს მდგომარეობას პესტიციდებზე ფასების ზრდის კუთხით და ასევე მცდარ და დაუმსახურებელ წარმოდგენას შეუქმნის პროდუქციის მომხმარებელს მის მწარმოებელზე.

ამასთან, აპელანტმა სხდომაზე წარმოადგინა სააპელაციო პალატის 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა კომპანია „სინჯენტა ლიმიტიდ”-ის სააპეაციო საჩივარი და დარეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი „Milagro” (საიდ. №65231/03). კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. კოლეგია განმარტავს, რომ სააპელაციო პალატის

გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „Milagro” რეგისტრაციის შესახებ და მოცემული შემთხვევა არ წარმოადგენს იდენტურ შემთხვევებს საქმის გარემოებების მხრივ, ვინაიდან სასაქონლო ნიშანი „მილაგრო“-ს მფლობელია კომპანია „სინჯენტა ლიმიტიდ”, რომელიც თავად არის აღნიშნული პესტიციდის მწარმოებელი და მასვე ეკუთვნის სასაქონლო ნიშნის დასახელება. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის „მილაგრო“ რეგისტრაციის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევას, ვინაიდან სასაქონლო ნიშნის მფლობელი და მასზე განსაკუთრებული უფლებების მქონე კომპანია ამავე დროს არის პესტიციდის მწარმოებელი. გარდა ამისა, კომპანია „სინჯენტა ლიმიტიდ”, როგორც სასაქონლო ნიშნის მფლობელი და პესტიციდის „Milagro“-ს მწარმოებელი კანონით უფლებამოსილია მიანიჭოს სხვა კომპანიებს „Milagros“ იმპორტის უფლება. კომპანიები „სინჯენტა ლიმიტიდ” („SYNGENTA LIMITED”) და „სინგენტა აგრო აგ” („SYNGENTA AGRO AG”), მათი დასახელებებიდან გამომდინარე, არიან მონათესავე კომპანიები და მიეკუთვნებიან საწარმოთა ერთი და იგივე ჯგუფს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „Avanguard ავანგარდი Авангард” (საიდ. №64924/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „აგროჯორჯია გ.”-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 13 სექტემბრის №1150/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. გიქორაშვილი
წევრები:	დ. ჭიჭინაძე
	ლ. ახობაძე